

ქ.თბილისი

2018 წლის 9 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 9 მაისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ი. ფურცელაძის ოქმი და ოფიციალური ვიდეომასალა, ამა წლის 3 მაისს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ „ლელო 2“-სა და თბ „იუნკერები_ჩოხოსნები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლელო 2“-ს მორაგბე გიორგი გიგოლაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბ „ლელო 2“-ს მორაგბე ბეჟან ზიბზიბაძე - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
3. თბ „იუნკერები_ჩოხოსნები“-ს მორაგბე ვახო გვაზავა - კონფლიქტის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1-ის 2.7, 2.8 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლელო 2“-ს მორაგბე გ. გიგოლაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. თბ „ლელო 2“-ს მორაგბე ბ. ზიბზიბაძე დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. თბ „იუნკერები_ჩოხოსნების“-ს მორაგბე ვ. გვაზავა დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
4. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და კლუბ თბ „ლელო 2“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/